



ეთიკის კომისიის რეკომენდაციის 008/15 მიმოხილვა

შეკითხვა:

ადვოკატის მიერ კონსულტაციის ან/და სამართლებრივი დახმარების გაწევის დროს უცხო პირის დასწრების შემთხვევაში ირღვევა თუ არა ადვოკატის მიერ კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება?

სამართლებრივი შეფასება:

ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალურობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით (ეთიკის კოდექსი, მუხლი 4.1).

ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია, მხოლოდ კლიენტის თანხმობის საფუძველზე (ეთიკის კოდექსი, მუხლი 4.4).

კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვის ვალდებულება ადვოკატს ეკისრება ადვოკატის ქცევის როგორც საერთაშორისო, ისე ეროვნული მოქმედების აქტების შესაბამისად. ამიტომ, ადვოკატი ვალდებულია მისი ქმედებები, მათ შორის კლიენტისათვის კონსულტაციის გაწევა ან სხვა სახის სამართლებრივი დახმარება განხორციელოს ისე, რომ არ გაასაჯაროვოს კლიენტის მიერ მისთვის მიწოდებული, საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია. კლიენტი ამ ინფორმაციის მიწოდებას ახორციელებს არსებული თანამშრომლობისა და ნდობის ფაქტორის მიზეზით, შესაბამისად, ადვოკატმა საკუთარი მოქმედებით უნდა გაამართლოს კლიენტის ნდობა.

ადვოკატმა, მისი შესაძლებლობიდან გამომდინარე, უნდა უზრუნველყოს, რომ არ დაირღვეს კონფიდენციალურობის პრინციპი. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ, შეკითხვაში მითითებული გარემოებების არსებობისას, ადვოკატი წინასწარ შეუთანხმდება კლიენტს, რომ კონსულტაცია თუ სხვა სახის სამართლებრივი დახმარება განხორციელდება სწორედ შეკითხვაში აღნიშნულ პირობებში (ოთახში ადვოკატისა და კლიენტის გარდა იმყოფება ერთი ან ერთზე მეტი, მოქმედი საჯარო მოსამსახურე ან ნებისმიერი სხვა პირი, რომლებსაც შესაძლებლობა აქვთ მოისმინონ და იცოდნენ ადვოკატის მიერ დასახული სამართლებრივი სტრატეგია) და კლიენტი ინფორმირებულ თანხმობას განაცხადებს, მიუხედავად არსებული პირობებისა, განხორციელდეს სამართლებრივი კონსულტაცია, ადვოკატი თავიდან აირიდებს პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლო საფუძვლის არსებობას.

დასკვნა:

კონფიდენციალურობის პრინციპი ვრცელდება ნებისმიერი სახის ინფორმაციაზე, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, შესაბამისად, ადვოკატმა უნდა უზრუნველყოს, რომ კლიენტის მიერ მიწოდებულ ასეთი სახის ინფორმაციაზე მესამე პირებს ხელი არ მიუწვდებოდეს. თუმცა, თუ კლიენტი, წინასწარი შეთანხმების ფარგლებში, ინფორმირებულ თანხმობას განაცხადებს სამართლებრივი კონსულტაციისა თუ სხვა სახის დახმარების მითითებულ პირობებში განხორციელების თაობაზე, ადვოკატს უფლება გაქვს განახორციელოს წარმომადგენლობა.